

140  
1983



# სიმბოლო

ISSN 0132 - 5070

11  
1983



# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ



სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში საქართველოა მზორ-მელთა მიერ მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის და რუსეთისა და საქართველოს მებრძოლ გემორბიენისათვის ხელშეწყობისათვის 200 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
თავმჯდომარე ი. ანდროპოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი. კრემლი. 1988 წლის 28 ოქტომბერი.

საქართველოს სს რესპუბლიკის წარმატებანი მკაფიოდ და ფართოდ წარმოაჩენენ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს წყობილების, სოციალისტური ცხოვრების წესის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის უპირატესობებს.

საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავს აღნიშნავენ დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმაშენების ვითარებაში და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, წარმატებით დაასრულონ 1988 წელი, უზრუნველყონ მეთერთმეტე ხუთწლიეის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულება, ხორციელყონ პარტიის 26-ე ყრილობის, სკკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1988 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული რესპუბლიკის მშრომელები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმის — საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც აქტიურად იბრძოდებენ პარტიის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შესრულებისათვის, განამტკიცებენ დისციპლინასა და ორგანიზებულობას, აამაღლებენ პოლიტიკურ სიფხიზლეს, დაუცბრობლად გაზოდიან ჩვენი დიდი სამშობლოს თავდაცვის ძლიერებას.

სსკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვიდან.



293  
1746  
71



# მეგობრობის ლაშაზი


## დღესასწაული

ნეტები, ნახეს „კომუნერფილმის“ ნამუშევრები. შემდეგ სარკებიან და-რბაზში გაიმართა საგანგებო კონცერტი. ტკბილი კართული ჰანგებით მოაჯადოვა მსმენელები ხალხურ სა-კრავთა ორკესტრმა, ხოლო ცეცხ-ლოვანმა „შეჯირმა“ ნამდვილად გააოცა სტუმრები. ერთმანეთს ცვლი-დნენ გოგონათა გუნდი „ნანა“, ვო-კალური დუეტი, ბიჭუნების გუნდი „ნაღერი“, შემდეგ კი სტუმართა წი-

ულში მონაწილეობა ღივი პატივია ჩვენთვის, ამავე დროს, დიდად საპა-სუხისმგებლოც... ჩვენ ხელოვნების მსახურში ვართ და ძველი თბილისის უბნები, რიკულებიანი აივნები ადვი-წყით, როგორც ჭეშმარიტი ხელო-ვნების ნიშანი. განუყოფელია მათი კოლორიტი... ვცვდებით, ისე წარედ-გეთ კართველი მყურებლის წინაშე, როგორც ეს ჩვენი სასწავლებლის ტრადიციებს და თქვენს საოცარ ქა-

**8** ეიმია საქართველოში, მეგობ-რობისა და ძმობის ლაშაზი დღესასწაული. ხელგამოილი ხედე-ბა ჩვენი რესპუბლიკა ძვირფას სტუ-მრებს – რსფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებს, გამოჩენილ მწერლებს, კომპოზიტო-რებს, არქიტექტორებს, სახელგანთ-ქმულ ანსამბლებსა და მხატვრულ კოლექტივებს. მეგობრობის ეს ზეიმი მიეძღვნა დიდ რუს ხალხთან დამო-ყვრების დამფუძნებელი ისტორიული დოკუმენტის – გეორგიევსკის ტრა-ქტატის 200 წლისთავს.

თბილისის პირის ძნელადის სახე-ლობის პიონერთა და მოსწავლეობა სასახლემ სტუმართმოყვრულად გა-ულო კარი პერმის ქორეოგრაფიული სასწავლებლის აღსაზრდელებს. სტუ-მრები გაეცნენ სასახლის დაარსების მოკლე ისტორიას, დაათვალიერეს ინტერნაციონალური მეგობრობის, მხარეთმცოდნეობისა და სხვა კაბი-



სამართემლოს სს რესპუბლიკაში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების განსწავლაში მიღწეული სახეობი კონცერტით.

ნაშე თავის ნატიფი ხელოვნებით წარდგა გოგონათა განთქმული ანსა-მბლი „მზიური“. კონცერტის შემდეგ სტუმარი-მასპინძლებმა სამხსოვრო სურათი გადაიღეს და უფრო გაუმო-ნარდნენ ერთმანეთს. ჩვენ ვთხოვეთ პერმის სახელმწიფო ქორეოგრაფიუ-ლი სასწავლებლის სამხატვრო ხელო-მძღვანელს, რსფსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, რსფსრ დამსა-ხურებულ მასწავლებელ ლ. სახარო-ვას, მოეთხრო თავის სასწავლებელსა და აღსაზრდელებზე. აი, რა თქვა მან: ასეთ გრანდიოზულ დღესასწა-

ლაქს შეუფერება. პერმის ქორეოგრაფიული სასწა-ვლებელი დაარსდა 1945 წელს ლე-ნინგრადის ა. ვაგანოვას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენო-სანი აკადემიური ქორეოგრაფიული სასწავლებლის ბაზაზე. ამ ხნის გან-მავლობაში ბევრმა მისმა აღზრდი-ლმა მოუბნა მას მსოფლიო აღია-რება, დავასახელებ ნ. პავლოვას, ო. ჩენჩიკოვას, ლ. კუნაკოვას, გ. შლავ-ბინას, ი. შპიოვოლოვს და ა. შ. სასწა-ვლებელს. გავითიანებულაი ზოგა-დაც განმანათლებლო. სპეციალური და

1926 წლის

საბჭოთა კომუნისტური პარტია საქართველოს

საბჭოთა კომუნისტური პარტია საქართველოს

საბჭოთა კომუნისტური პარტია საქართველოს

საბჭოთა კომუნისტური პარტია საქართველოს


**კომუნაზი**

11 ნოემბერი 1982

საბჭოთა კომუნისტური პარტია საქართველოს

გ. შარტის სახ. სსრ  
სახელმწიფო სწავლებელი  
1945 წელს დაარსდა



  
**ქართველი  
წერამწერეთა  
კავშირის  
საქართველო  
კომიტეტი**  
 მისამართი  
 თბილისი, ვაჟა-ფშაველას  
 სახელობის  
 ქ. მთაწმინდა  
 № 10  
 ტელ. 231111

მუსიკალური სკოლები. ჩვენი მიზანია აღვზარდოთ არა მარტო ბალეტის ოსტატები, არამედ განათლებული, განვითარებული, ღრმად მოაზროვნე პიროვნებები.

სასწავლებლის დირექტორმა, რსფსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა პ. კოლოვარსკიმ გვითხრა: — ბალერინა კი არ უნდა ცეკვაფდეს, იგი სცენაზე თავისი გმირის ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს. ამიტომ, რომ მოზარდებს პირველი კლასიდანვე ვაჩვენო სცენას, სწორედ აქ იხვეწება მათი პლასტიკა. ჩვენი აღსაზრდელები გამოდიან პერმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებში — „დონ-კიხოტში“, „მძინარე მზეთუნახავში“, სასწავლებლის ბალეტ „კაპელიაში“ და სხვ.

— ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა „რუსეთის ახალგაზრდა ბალეტის“ საღამო, სადაც ჩვენმა აღსაზრდელებმა მასპინძლებს თავიანთი ხელოვნება უჩვენეს, — განაგრძო ლ. სახაროვამ. — თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებელში ოსტატობის ღია გაკვეთილი ჩავატარეთ, შემდეგ კი ქართველ პედაგოგებთან ერთად ვისაუბრეთ ბავშვთა მხატვრული აღზრდის, საბჭოთა საბა-



პარტიულმა კომუნისტებმა თავის აკრძალულ თანატოლებს პარტიულ მრევლს განსაცემელი გამოუყვარდელი მოტივებით უსახსრდეს.

ლეტო ხელოვნების შემდგომი განვითარების პრობლემებზე. მოსარული ვართ, რომ ჩვენს სასწავლებელთა შორის დამყარდა შემოქმედებითი და მეგობრული კონტაქტები, ვიმედოვნებ, ეს კონტაქტები მომავალში უფრო გაღრმავდება.

საუბარში მისწავლეებიც ჩაერეთ. სვეტა კორნილოვა: მიხარია, გავეცანი თბილისს, მის ღირსშესანიშნა-

ობებს. დღეს კი საშუალება მომეცა გავცნობოდი თბილისულ პიონერთა შემოქმედებას, გამოცა მრავალსმიანი სიმღერების უჩვეულო პარმონიამ და ელვადობამ, მომეწონა ცეკვები, განსაკუთრებით გოგონებისა, თითქოს კვლებივით დასრიალებენ. მომიზიდავია მათი კოსტიუმები, მოძრაობის სინაზე და სიფაქიზე.

ლენა კრესტოვსკინი: საბალეტო



დასი ჩვენი სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან კომპლექტდება. ჩემი ოცნებაა, მოვხვდე ამ დასში. ბალეტი ჩემი სიცოცხლეა. უსიყვარულოდ ხომ ხეირიანად ვერაფერს გააკეთებ. მეც მიყვარს ცეკვა, ძალასა და ენერჯიას არ ვიშურებ, ვმუშაობ ბევრს და ვატაცებთ, რათა კარგი ბალეტინა გამოვიდე.

**ნატაშა სირნიკოვა:** ბავშვობიდანვე ვოცნებობდი ბალეტზე. ჩამოვედი ქ. ჩაიკოვსკიდან და კონკურსში გამარჯვების შემდეგ მოვხვდი სასწავლებელში. ვცხოვრობ ინტერნატში. სასწავლებელში ვმეცადინებოთ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ბავშვები. ერთი ოჯახივით ვცხოვრობთ.

**საშა გულიავეი:** სშირად ვმონაწილეობთ კონცერტებში, გამოვდივართ სოფლის მშრომელების წინაშე, ტრადიციულად ვატარებთ საანგარიშო კონცერტებს მოსკოვსა და ლენინგრადში, აქტიურად ვმონაწილეობთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში...

**ლ. სასაროვა:** სწორედ სანიმუშო სწავლისა და საზოგადოებრივი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ ჩვენი აღსაზრდელები საკავშირო პიონერულ ბანაკ „არტკის“ საგზურებით.

**ნატაშა სირნიკოვა:** თბილისიდან თან მიგვაქვს თქვენი გულების სითხო და რწმენა იმისა, რომ ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს. ჩემს თანატოლებს მინდა ვუსურვო მშვიდობიანი, უღრუბლო ზეგა, ჯანმრთელობა, კარგი სწავლა და სანუკვაროცნებათა ასრულება. და კიდევ ბევრი მეგობარი... რადგან მეგობარი იმას არა ჰყავს, ვინც თვით არ ვარგა მეგობრად.

...მართალია ნატაშა: უმეგობრო აღამიანი მარჯვენაწვეთილ კაცს ჰგავს. რაც უფრო მეტი მეგობარი ჰყავს აღამიანს, მით უფრო ძლიერი და შედინირია იგი... შედინირნი არიან ჩვენი რესპუბლიკის მოზარდები დღეს იმ მრავალრიცხოვანი მეგობრობის ჩამოსვლით, რომლებიც ჩვენთან ერთად მთელი სულითა და გულით ზეირობენ მარადიული მეგობრობის დღესასწაულს.

ნანა ზაფაღიშვილი




მ ა რ რ ე შ ბ ი

„პიონერები-საშობალოს“

სკოლის უკან ფარდულში მწიფე შინდისფერი ტრაქტორი დგას. თითქმის ყოველდღე ტრაქტორით უფროსკლასელები იკრიბებიან და მექანიზაციის საფუძვლებს ეუფლებიან. ხან ვინ მოუქვდა სკვეს და აავტუნებს ტრაქტორს, ხან ეინ. ისინი რომ ამ ამბავში არიან, შორი-ახლოს პიონერებიც მოგროვებიან ხოლმე და ფაფაცებთ აღდენებზე თვალს, ოცნებობენ, როდის გადავლენ მეცხრე-მეათე კლასში, რომ ტრაქტორის მართვა ისწავრონ, ისე გაითქვან სახელი, როგორც მია ბიკაშვილმა.

მაიამ სკოლაში შეისწავლა მექანიზატორის პროფესია. სკოლა რომ დაამთავრა, ბოდისხევის კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა, მართავს ტრაქტორს, ალანის ველზე მიწას ხნავს, თესვის დროა და — თესავს, სილოსის დამზადება იწყება და — ორმოში ჩაყარდ მწვანე მასას ტყეპნის. კომპაქტიურდ მექანიზატორ ქალიშვილს დღეს მარტო სიღნაღის



მექანიზაციის განსავლდობელი ჯიშაღ სავაჟაშვილი და მია ბიკაშვილი კომპანიის მუშაობას ასწავლიან.

# პოდბისხეველი ნორჩი მექანიზატორი

ვლ. კსლამაჩიშვილი  
თ. ბაბარდოსი ფოტო

რაიონში კი არა, მთელ ჩვენს რესპუბლიკაში იცნობენ. მაია ბიკაშვილს ბოდისხევეში ბევრი მიმბავციელი ჰყავს. წლეულს გამართულ ნორჩ მექანიზატორთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე სიღნაღის რაიონმა ბოდისხეველი ზურაბ პავლიაშვილი მიაგლინა, იმანაც ასახლა თანასოფლელები. ტრაქტორით კვლი რომ ვატარა, ვერავინ დაუწერია ხენის სიღრმეც ნორჩული იყო, ტრაქტორისაც თავისუფლად მართავდა. ზებიარდ იცოდა

მისი ნაწილების დანიშნულება. მოკედელ, რომ არ გავაგრძელოთ, ზურაბმა საპრიზო აღდგარ და დიპლომი დაიმსახურა. მათ ბაბავენ პიონერებიც, მერე რა, რომ სკოლაში ჭერი მათ მექანიზაციას არ ასწავლიან. თუ კაცმა მოიწადინა, წინ რა დაუდგება. აი, ბავალითად, მეექვსეკლასელი პიონერები მია ბავლიაშვილი და ლევან ქაჩილაშვილი. ერთიც დაავტუნებს ტრაქტორს და მეორეც თუმცა ჯიშს მიათვ ცალ-ცალკე მოიყვება.

შარშან ზაფხულს ბებია სირანამ ხელი იღრძო.

რა კენა, ხბორებს როგორა მიგებოლო, — შეწუხდა იგი.

— მე აქ არა ვარ, ბებო?! — დაამშვიდა მაიამ, — არღადეგები მაქვს, ვიღრე ხელი მოგირჩება, გვერდიდან არ მოგშორდები, ხბორებს მე მოგველო.

— ფერმამდე შორია, შვილო, გაგიტორდება. — დაენანა ბებიას შვილიშვილი.

— შენ არხეინად იყავი, შენ რა, ავტობუსით არ დაღიხარ? არაფერი მიშავს, — დაამეღა მაიამ ბებია.

დილით აღრე ბებია და შვილიშვილი ფერმაში ავტობუსს გაჰყვინენ. ას ორმოცდაათი ხბო დახვდა გო-

გონას ფერმაში. მწყემსი ქალები უპვი ფუსფუსებდნენ, ხბორებს საღამომს უხებებდნენ. მაიას თქმარად უნდოდა, ცოცხს ხელი დაავლო და საქმეს შეუღდა. ის თხრილში ჰყრიდა ნაგავს, მექანიკური ნავაგამბტანი კი იქიდან გარეთ ეზიდებოდა.

სახბორე მალე დაასუფთოვეს, მერე მოზარდილ ხბორებს სურნელოვანი თივა დაუყარეს, ჩველებს კი ასწორებში რძით აუფესეს, მაიას ჩველი ხბორების გამოკვება დაავალეს. ისიც ზან ერთ ხბოს აწოვებდა საწოვართი რქეს, ზან მეორეს.

— ყოჩაღი შვილიშვილი გყოლია, — უთხრეს მწყემსმა ქალებმა ბებია სირანას.

მეორე თუ მესამე დღეს მაიას ფერმის ახლოს ტრაქტორის გუბუნი შემოესმა. გაიხედა ვარით და ხედავს: სასილოსე ორმოში ტრაქტორი ჩამდგარა და აკუწულ ბალახს ტყეპნის. ტრაქტორის საქესთან კი მისი სეხნია, მია ბიკაშვილი ზის.

მაია იქით გაიქცა, შორიასლო დადგა და ცქერა დაუწყო.

დიღმა მაიამ მალე შენიშნა და გაუღიმა, ტრაქტორი გააჩერა და კაბინიდან გაღმოსტა.

— ძნელია ტრაქტორის ტარება? — ჰკითხა პატარა მაიამ დიდს.

— არა! ხომ იცი, თუ კაცს სურვილი აქვს!.. შენხელა რომ ვიყავი, მამას ვკითხე, ამოღენა რკინის მანქანას კაცი როგორ მართავს-მეთქი?

მამამ მითხრა: — ტრაქტორს ქვლებიც მართავენ, სახელგანთქმული ტიბანელი მექანიზატორე — მღუნე ნატროშვილი სობერენმე სკულ ტრაქტორის საქეს უჯდაო. შენც კარგ შენივანდინე, ნახავ, რა იოლია ტრაქტორის მართვაო.

— მერე, ვინ გასწავლა?

— სკოლაში ვისწავლე!

— კარ ჩვენ არ გვასწავლიან მექანიზატორის, პატარები ვართ!

— ვინდა, რომ ისწავლო?! — მინდა!

— წამოდი ჩემთან, — დიღმა მაიამ სეხნია ტრაქტორთან მიიყვანა, კაბინაში გვერდით მოისვა და უჩვენა მართვის ხელსაწყოები, რას რა იანიშნულემა ჰქონდა, სტარტერს ფეხი მიადგა და ტრაქტორიც აგუგუნდა... ჰერ წინ და უკან გაატარა, მერე გააჩერა და საქესთან პატარა მაია დასვა, სტარტერისა და სიჩქარეთა ჩართვა ასწავლა. ვერ წარმოიდგენა პატარა მაიას სიხარულს, რკიც ტრაქტორი აგუგუნდა და მსუბუქად დაიძრა წინ.

— ყოჩაღ, — შეაქო მასწავლებელმა და ახლა გაჩერება და უქუსლა ასწავლა.

მას შემდეგ ყოველდღე, როგორც კი მწყემსი ქალები ფერმაში საქეს მორჩებოდნენ, მაია უფროს სეხნიასთან გარბოდა და ტრაქტორის საქეს მიუჯდებოდა, დამოუკიდებლად მართავდა მას. ერთი ორმო სილოსი



ლემანი სილოსის დაგამავლებელ აგრემატს სამუშაოდ აწვადებს.

არ, ანთ იმუღბიან თავს ლემანი და მათა ჩარობს.





თეთონ დატყენა და გაამზადა დასახურად.

ამასობაში ბებია სირანას ხელი მოუტრა, მაგრამ მთავის ისე შეუყვარდა ხბორები, უმითოდ ვერ ძლებდა, ისევ ფერმაში დადიოდა, არც დიდ მაისს ივიწყებდა, სასილოსე ორმოს ერთად ტყენიდან ტრაქტორით.

ეს საქმე ხუთი თთივით შესიწავლა მთავამ, მაგრამ მისი ოცნება სხვა იყო. ნამდვილი მექანიზატორი ხომ ხნავს და თესავს კიდევ, აი, როგორც დიდი მთა. ისევ უფროს ამხანავს გაანდო სურვილი და იმანაც იმედი არ გაუწვლილა.

მკათათვეში პირველად ალაზნის ველზე იღებენ მოსავალს. კომბაინები მიწას მწიფე ყანისგან რომ გაათავისუფლებენ, ნაწვერალის ხენაც იწყება. სწორედ მაშინ იყო, რომ დიდმა მთამ პატარას კვალში გუთნის ჩაყენება ასწავლა.

ორი წელია, რაც მთა პავლიაშვილი ტრაქტორს ფლობს. ამ შემოდგომას ჭევილიც აბიზინდება მისგან გატარებულ ხნულში, მაგრამ ეგ რა არის სკოლას რომ დაამთავრებს, კოლმეურნეობაში დარჩება სამუშაოდ, საკუთარ ტრაქტორს ააგუგუნებს და იმოღენა მიწებს გადახნავს, თვალს ვერ გადააწყდენთ.

და მისი მამა თამაში დილოს შვიდ საათზე მილარში წავიდნენ სამუშაოდ.

მეტი რა ჩარა იყო. ავდეკი და კოლმეურნეობის საკვებმოპოვების განყოფილების ვამდეკ ელგუჯა შინაშვილს გაყყევი.

მილარი ალაზნის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. იქ ნაკლები დასახლებაა, სამაგიეროდ ბევრი მეცხოველეობის ფერმა და სახნავ-



სათესია. ფერმებში ზამთარ-ზაფხულს ხალხი ფუსფუსებს. იმისთვის, რომ პირუტყვის საკვები ზამთარშიც კამარისადე ჰქონდეთ, აქ ვაზაფხულიდან მოყოლებული გვიან შემოდგომამდე, ვიდრე ბუნებრივი და ნათესი ბალახები ხარობს, აზაფხუდნ თვისას, ნამჯასა და სილოსს. გუგუნებენ, სილოსის ასაღები კომბაინები.

მილარში რომ მიველით, სასილოსე სიმინდს იღებდნენ.

— აგერ ლევანის კომბაინი, — ამბობს ელგუჯა და მწვანედ მოზიბინე სიმინდის ნათესს ნათესს ჩამდგარ კომბაინზე მიჩვენებს, კომბაინს გვერდით დაკუწული მწვანე მასით სავეს ავტომანქანა მოსდევს.

ახლოს მიველით, კომბაინი გაჩერდა და იქიდან მზემოკიდებული პატარა ბიჭი გადმოხტა, მორცხვად ოტეგსალმა,

— მამაშენი სადლა? — ეკითხეთ. მან ქვევით გაიშვრა ხელი, — იქით იღებს სილოსსო.

ლევანს კომბაინის მართვა მამამ ასწავლა. ისე გაიწაფა, რომ ბრიგა-



პირველი და მუშაობის ნორმებს შინა კალტარისა და სასოფლისმშენის რამ ბათ დრო.

დირმა შოთა კუსრაშვილმა სასილოსე კომბაინი ანდო. შარშან და წლეულს დასოფლებულად მართავდა და ძალიან ბევრი საქმეც გააკეთა. მართო ამ ზაფხულს მილარში 300 ტონაზე მეტი მწვანე საკვები ბალახი გათობა, დასენავედ კი 800 ტონამდე მოამზადა — დღეში 18-20 ავტომანქანას ავსებდა მწვანე მასით. და თუ თითოში ორნახევარი-სამი ტონა მასა ჩადის, ძნელი არ არის საერთო წონის დაწარმოება. ახლა გამოუმუშავებს არ იკითხავთ?! ივლისში 260 მანეთი მიიღო. ერთი ამდენიც ავკიტოს ბოლოს.

— ლევანთან მუშაობა საინტერესოა, ერთ წუთს არ მოგაცდენს. — ამბობენ ავტომძღოლები ბიძინა კუსრაშვილი, გოგია მამუკელაშვილი და სხვები.

პირველ სექტემბერს სწავლა რომ დაიწყო, ლევანი მილარს გამოუტოვებდა, გამოუმუშავებდა თავის კომბაინსაც. თუმცა გული არ უთმენს და კვირაობით მაინც მიჰყუება მამას მინდორში.

## ლ ე ვ ა ნ ი

ამ ვაზაფხულს სიღნაღის რაიონული ვაზეთის რედაქციაში წერილი მოგვივიდა. ავტორი გვჭერდა, მინდორში სილოსის ასაღები კომბაინზე ბოლდისხვეული მეექვსე კლასის მოსწავლე ლევან ქაჩილაშვილი მუშაობს და ავტომანქანას სასილოსე მწვანე მასით ავსებსო. ყოჩაღი ბიჭია, ძალიან გათხოვთ იმაზე წერილი დაბეჭდოთო.

წერილი კი დავბეჭდეთ, მაგრამ თითქოს არც გვჭეროდა, რომ მეექვსეკლასელი კოლმეურნეობის გამგებობაში კომბაინი ანდო.

ავდექი და ლევანის სანახავად წავიღო.

დილის 9 საათზე ბოლდისხევის კოლმეურნეობაში ვიყავი.

— დავაგვიანდა, — ღიმილით მითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარე გაიორ გელაშვილმა, — ლევანი



წიგნები  
პუბლიკა

# იუნკა, ტეცხლი!

მხატვარი  
ჯანაქო ლომია

თბილისში ცხოვრბის ერთი საცობად ახალგაზრდა შუაზნის კაცი.

ზევის დღეებში ეს კაცი თხოვნიერ მცდლობდა და ორდენით მკერდდაშეყენებულ გამოდის ქუჩაში. იგი იხე ახალგაზრდად და გამოიყურება, რომ ხშირად თავადვე გრიღება ისარგებლოს სამარუდო ომის ვეტერანის კანონიერი უფლებებით.

ბრადა, ამ კაცმა დიდი სამამულო ომის ქართველი გამოიარა.

ომი მან ათი წლისამ დაიწყო და თხოვნიერტისამ დაამთავრა. როცა უაზისტური

## ა მ თ ხ რ მ ბ ა

გერმანია თავს დაგვისხა, იგი პიონერი იყო, მაგრამ ექლსახვევი თოქმის არ უტარებია, უფრო ედო ხოლმე — მუღალად. ხოლო როცა ომი დათავრდა, მკერდზე უკან კომკავშირული ნიშანი ეცვია. ამ ალბატური ექლსახვევი მან უფლებად ჩამოიტანა თბილისში და ახლაც შენახული აქვს ოპში გატარებული დღეების სახსოვრად.

თუმცა მან კიდევ ერთი სახსოვარი ჩამოიტანა ომიდან — ფილტვში გაჩხერილი ჭურჭლის ნაშხერევი... მაგრამ, ამის

მიუხედავად, დღესაც მწუხარება, „საქართველო“ თბილისის თბქელის კაღრების განყოფილების ხელმძღვანელობს.

გარდა ამისა, იგი პიონერია თუ ოქტომბრული ნებისმიერი ღონისძიების მუდმივი სახორეული და სამატიო ხტუმარი...

კარგა ხანია მამკალებს სურვილი — მოვიხროთ მის შესახებ.

მაშ, იცნობდე — ეს ახალგაზრდა შუაზნის კაცი ევენია ივანეს ძე ტპარაკაველია.

1

— აი, ნახე, თუ თავბედი არ გაწყვედინო, შე ქეცია-ნო ავაზაკო, შენ! ეს უღვაში მომპარსე, თუ სიგრძე სიგანედ არ გიქეიო! კატასავით მიგახსრნობ, მოგკალებ და არ გაცოცხლებ, შე ჭიკაყვალე, შენ!

— არ დამარტყა, რა, ძია, არ დამარტყა! განგებ ხომ არ მიქნია! დღვას გეფიგებე, შემიხვევით მომიხდა, ძია! არ დამარტყა, რა! ვაი!

ეს „ვაი“ ქამრის ტყლაშუნს მოჰყვა. შენია ფანჯარას მიაწყდა და მეზობელ ეზოში გადაიხედა. კი, ნამდვილად ასე იყო: მარჯ მარჯმომოვი ბეზუსი ქამრით კანჭებს უღილავებდა კაფანდარა თემო გამილადიშვილს. თემო კალიასავით დახტოდა ხელისგულისაოდე ეზოში, როგორმე გამეტებით მოქნული ქამარი რომ აერიდებინა, ხან ოთხად იყეებოდა, ხანაც ხელს უხვედრებოდა, იქნებ გამოვტაცო, მაგრამ ამას იყო ყველაფერი.

შენიას ბევრი არ უფიქრია, ხის ხვეული კიბე კისრისტებით ჩაირბინა და ეზოში მეზობელ ქალებთან მოსაუბრე ბებისას ისეთი სიჩქარით ჩაუქროლა, მოხუცმა მხოლოდ შვილიშვილის მეზღვაურულ ზოლიან მაისურს მოჰკრა თვალი და ისლა მოასწრო, რომ მიამახა:

— საით გარბინარ, ბიჭო, რა ეშმაკი მოგვლანდა?! და მაშინვე ხელი ჩაიქნია: იცოდა, პასუნს მაინც ვერ მიიღებდა.

მარჯ მარჯმომოვი მხოლოდ წამით შერქვიფდა, მაგრამ მყისვე გონს მოეყო და თვალმოჭუტული დაეცქერდა დასარტყმელად მოღრებულ ქამარსა და მორიგი შესტომისათვის შეჩქარებულ თემოს შორის თითქოსდა ციდან ჩამოვარდნილ ტანდაბალ, მაგრამ ჩაფსკენილსა და ძვა-

ლმსხვილ ბიჭს.

— შენ რალა გინდა, ტოპრაკანთ ნაშიერო?

— რათა სცემ ამ ბავშვს, მარკო ძია?

— რათა, ადვოკატობას მიიბრებ? აბა, მარდაღ, იქით მიდექი, თორემ... ამას ხომ ხედავ?

ნაღდი დღევის ქამარი იყო, სქელი, სამი თითის სიგანე მაინც იქნებოდა.

— ვერ დამკრავ, მარკო ძია! — შენია მკერდი გამოზნოქა, აქაოდა, არ მეშინიაო.

— ისე დაგკრავ, რომა...

— დამკრავ, მარკო ძია, და ხვალვე წირვას გამოეყვან მეგ შენს ბელას! სულ ერთი ციფქნა საწამლავე ეყოფა!

ბეზუსი გაშუმდა.

— რას იზამ?

— წირვას გამოეყვან-მეთქი... იქნებ ხვალამდეც არ დავიცადო და დღესვე მოვიხსრნო...

მარჯ მარჯმომოვის ხელი ჩამოუვარდა, თვალის დახამხამებაში უცნაურად მოეშვა და მოიჩვარა ეს ამსიგრძე კაცი. მაგრამ მომდევნო წამს ბეზუსი ისევ დაუღულა საკუთარ თავსა და სხეულს, ხელის სწრაფი დაქნევით ქამრის მეორე, თავისუფალი ბოლოც მუჭში მოიქცია, თვალში გადააბრიალა, რიდაც ავად ჩაიდღულა, შებრუნდა და ზრიალით შეიჯახუნა თავისი ბინის კარი.

შენია და თემო ლანდივით გასხტნენ ეზოდან, ორიორე და კვარტალი გაიბრინეს და მტკვრის ნაპირას ამოჰყვეს თავი.



ბიჭებმა რიყეზე ჩაირბინეს და ტირიფების მეჩხერ ჩრდილს შეეფარნენ.

— რას ვეროდა? — კითხვა ეყენია მგეობარს, როცა სული მოიბრუნეს.

— მოდი და ვაიყო! ჩემთვის ვვარჯიშობდი, შურდულით მიწაში ვისროდი. ეგ იყო და ეგ.

— მეტი არაფერი?

— მეტი რა... ერთი კენჭი რიყაშუბით ასხლტა და ჯიბურზე ზუსტად მაგის ფანჯარას მოხვდა.

— მეტი არაფერი?

— დედას გეფიცები! მოხვდა და ჩამოვარდა თავისთვის! მინა არც კი გაბზარულა. იმ ქვიციან ძაღლს კი შეეშინდა და წაუჭყავი ატეხა. დიდი ამბავი! ქვეყანა სომარ დაქვეყნალა?

— დაიქეცა, აბა არა? ის ძაღლი მაგას მართლა მთელ ქვეყანას უჩვენებია. აბა ერთი მაჩვენე, მაგრად დაგალოურჯა?

— კიდევ კარგი, დროზე მომეხველე, თორემ...  
— იფ! — ნაძალადევად ჩაიყინა ეყენამ. — არა უშავს, კარვად უშეშავნია.

ერთხანს მდუმარედ ისხდნენ ვეება ლოდზე. შუადღე აღოვდებოდა და ქალაქს უკვე ბული ასდიოდა. აქ კი, ტირიფებქვეშ, ისე საამოდ გრილოდა, მტკავირც ისე ხალხიანად მოუდუნებდა...

— მართლა მოუწამლავდი ბელას? — უცებ თქვა თემომ.

— რაო? — გაუკვირდა ეყენიას — სულ სხვა რაღაცაზე ფიქრობდა ალბათ იმ წამს. — აა! ბეუსის ბელაზე ამბობ? არა, კაცო, რის საწამლავი, რა საწამლავი!.. სადა მქონდა!

თემოს ვაეცინა და გულზე მოეშვა. მაშინვე ის ვასსენდა, როგორ მკურნალობდნენ ამას წინათ ისა და ეყენია მეზობლის კაცის კნუტს, თათი რომ მოაყოლა კარებში საცოდავმა...


2

სატიოს რიყის თავში, ჩელუსკინელთა ხიდის ოდნავ ზემოთ, მტკვარი ორ ტოტად იზღებოდა. მარჯვენა ტოტში წყლის მთავარი მასა მისჩქეფდა, მარცხენა კი, როგორც ჩანს, ნაკლებ დაქანებული იყო და წყალი გაცილებით მდორეად მიედინებოდა. აქვე ფსკერიდან კლდე ამოშვერილიყო, დინებას თითქმის მართი კუთხით უცვლიდა გეზს და კარგა განიერ მშვიდ მორევს ქმნიდა. მორევს ვამბობ, თუმცა წყალი შიგ თვალდასანახად არ ტრიალებდა, გაცილებით წმინდაც ჩანდა და პატარა შემდინარგამდინარე ტბა უფრო ეთქმოდა, ვიდრე მორევი.

ბეუსისთან ზემოაღწერილ შეტაკებამდე ორიოდ თვით ადრე, შუა ივლისში, ეყენიას თემომ მოაითხა. ძმაკაცი მარტო დახვდა: მამა ფოთის სანაოსნოში მუშაობდა და დედაქალაქში თვეობით არ ჩამოდიოდა, ბებიას საავადმყოფოში იწვა — ასთმამ შემოუტია ბოლო ხანებში, ხოლო დედა, კლავდია ფედლოროვნა, იმავე საავადმყოფოში მუშაობდა ექთნად და საღამომდე შინ არ დაბრუნებოდა.

— წამო, საბანაოდ წავიდეთ.  
— მტკვარზე?

— კი, პავლიკას ტბაზე.  
— ეგ რომელი ტბაა?  
— აი, წყნარი მორევი რომ არის აქვე, ჩვესმარტო...  
— იყეს? სატიოს რიყის თავში...  
— აბა რის ოსდევინებანი?  
— გცოდნია და ეგ არის. ერთ მანეთიანს მოვაშვებ და ოსხივეს ჩავკვივებენ. ოთარი და მარტივ მადიან.



პავლიკა და მისი ორი მეგობარი გაველურებული ლედვის ჩრდილში ისხდნენ და მზესუშირას ანატუნებდნენ. ლეღვი ზედ ნაპირზე ამოსულყო, სანახევროდ გაშოშვლებული ფეხები ისე დაშავებოდა და გაშავებოდა, რომ მისი შეხვევა კაცს გულს მოეკლავდა, მაგრამ თან ლამაზიც იყო, რაღაცნაირი ჩუმი სიბლი ჰქონდა. ბიჭებს დასაჯდომად ღიღორნი რიყის ქვეში მოემარჯვებინათ. ტბიდან ასღასან ამოსულიყვნენ, ტანზე აქა-იქ ჯერაც ასხლათ წყლის ბრჭყვიალა წვეთები.

ყენია პირველად სედავდა ტრუსისამარა პავლიკას და გაუკვირდა — არ ეგონა, ასეთი ძვალწერილი და სუსტი თუ იყო. არადა, თავის უბანში, ტოლ ბიჭებს შორის, „ყოჩაღ“ ითვლებოდა, თუმცა მისი ვალახული არავის არასოდეს უნახავს ვინმე. ეყენია მასთან შედარებით ტანდაბალი ჩანდა, მაგრამ გაცილებით ჯანიანი და დაკუნთული იყო — მამამ ტყუილად კი არ მოაჩვია პატარაობიდანვე ესპანდერითა და პაწია პანტელებით ყოველდღიურ ვარჯიშს.

— რაო, დაცხათ, ბიჭებო? — ცალყვად გაიღიმა და





ირიბად ამოიხედა პავლიკამ. — იქნებ ვაგრილება გინდეთ? ჰა?

— ჰო, საბანაოდ მოვედით, — რაკი სხვები შეყოვნდნენ, ისევ თემომ თქვა საიქმელი.

— ჰოდა, სომ კარგად იცი, რაც არი საჭირო? — პავლიკამ ცერი და საწვეზელი თითი ერთმანეთს გაუსვა. — თუ, იქნებ, ნატური გირჩევნიათ? რა გაქვთ — კიტრი, პამიდორი, ვაშლი, შოკოლადი? ნუ გრცხვენიათ, თამამად მაიქვიეთ, სმა ამიღეთ!

— მანეთიანი გვაქვს, — თქვა თემომ.

— მანეთიანი, იცით, სად მიიკარით? — პავლიკამ რიყზე გააწიკა. — ოთხ კაცზე ერთი გაქუცული მანეთიანი? ორი მაინც მაიტათ! თუ არადა, პიდა აქედან! ბაჟი — ბაჟია, ყველამ უნდა გაივით! ე რა მაზალო ხალხია, ტო, ვერაფერი მშენისმენია!

— თუ, არ გვაბანავეთ?

— მუჟთად, ტო? მექვიდე სომ არ დაგიკირავოთ? არა, ძმაო, ჩაიარეთ. მტკვარი დეიდა.

თემომ მარტხა და ოთარს შეხედა, მერე ჟენიას მიუბრუნდა:

— რა ვქნათ?

ჟენია ინტინქით მიხვდა, რომ ამ ერთი შეკითხვით მისი პრიორიტეტი, მისი მეთაურობა აღიარეს, მათხდა-მოკიდებულებაში თვალის დასამსამებებს უმაღლესი შეიცვალა და ახლა მარტო თემო კი არა, ყველა იქ მყოფი, მოსულეზიც და დამხედურებიც, მას მისჩერებოდნენ. და ალბათ მომავალში ბევრი რამ იქნებოდა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოიქცეოდა, რას გადაწყვიტდა ახლა ტოპრაკანთ ბიჭი.

ჟენიამ სწრაფად გადაიძრო ზოლებიანი შეზღვეურული მაისური, შარვალი გაიხადა, ლეღვის ტოტზე გადაკიდა და რიყზე ისკუპა.

— წყალში არ ჩახვიდე, გესმის შენა? — წამოვდა და მორტინალი მოზვერივით დასარა თავი პავლიკამ. — მე გუბუნები.

— არც ჩავდივარ. იცი, რა, მოდი, ჯერ ვიჭიდაოთ. — ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მუქარაშერეული ხმით მიაგება ჟენიამ. — ამახ კიდევ მე გუბუნები! — გამოაჯავრა.

— ვითომდა რათათ?

— რათათ და იმადაო. ვინც აჯობებს, წყალშიაც ის ჩავა, ვინც დამარცხდება, ის კიდევ ამიერიდან ზაგს გადაიხდის. ჰა, გამოდი!

ორი თეთრი თოლია უხმაურო ფრენით დაღმა მიჰყვებოდა დინებას.

— მაზალო ტიპი ხარ, ამ რიყზე ჭიდაობა იქნება, ტო?

— ეგ შენ იდარდე, შენ უნდა გაჯაკრა ბუჭებით, მე რა მენადლეება! ჰა, მოდი, რაღს ელოდები?

პავლიკამ სწრაფი მზერა შეავლო ჟენიას ჩაფსენილ სხეულს. მერე თვალეში შეხვდა. არა და არა, არაფრით არ შეესაბამებოდა ამ თვალების კეთილი და ალალი გამოხედვა მათი პატრონის მკვეთრსა და თავხედურ კილოს.

— არ მინდა ჭიდაობა, — სმადაბლა თქვა პავლიკამ.

— თუ ეგრეა, მაშ... — ჟენიამ ზემოთ აიხედა და თავის ბიჭებს თვალი ჩაუკრა: — აბა ჰე, მეზღაურებო, რაღს უდგახართ, მომყევით!

თვითონ ისკუპა და ჭვილივით მკვეთრად და უხმოდ ჩაეშვა წყალში, ისე, რომ მზეფეიც არ აუყენებია. კარგა ხნის შემდეგ ამოყვინთა, მხიარულად დაიფრუტუნა, ჯერ მხარული მოუსვა, მერე „ბაყაურზე“ გადავიდა, ზოლის დელფინივით ამოტრიალდა და უკან გულადმა გამოიღრა. ბიჭებმა პირი დააღეს.

— სად ისწავლე, ბიჭო, ასეთი ცურვა? — ძლივს ამოიღო ხმა ოთარმა.

— როგორ თუ სად? აი, პავლიკასაგან ავითვისე, — გაიცინა ჟენიამ, ნაპირზე ამოვიდა და გვერდებზე ხელის-გულეში დაიტყაპოთ.

— მორჩი ვართ! მართლად საიდან იცი? — დაინტერესდა მარტიც.

— ეგ სომ ყოველ ზაფხულს ფოთში დადის, თავის მამასთან, — მამინვე აუხსნა თემომ. — შავ ზღვაში ისწავლა ცურვა.

მარტლაც, ჟენიას მშობლები შეთანხმებულები იყვნენ: მამა ზამთრობით იღებდა შეგებულებას და მთელ იან-



ვარს თბილისში, ოჯახში ატარებდა, დედა კი — ზაფხულ-ლობით. რაც ვენიას თავი ახსოვს, მშობლების ეს ერთხელ-ვე დადგენილი წესი არასოდეს დაურღვევიათ.

— ეგ რა, — დადასტურა ვენიამ. — მამაჩემმა მასწავლა, მგონი დაბადებისთანავე. იცით, თვითონ როგორ ცურავს? მთელი სანაოსნოს ჩემპიონია... წელსაც ვიყავი ფოთში, მთელი ივნისი იქ გავატარე. ეგ არაფერი, თუ ძალიან ვინდო, თქვენც გასწავლით, სულ ადვილი საქმეა. პავლიკ, მოდი აქა! — გასძახა.

პავლიკა ნულა მიუახლოვდა.

— შევრიგდეთ? — ხელი გაეწოდა ვენიამ.

— აბა როდის გვიჩხუბია, რო? — ჩაბურტყუნა პავლიკამ და მარჯვენა შეაგება. ცოტათი მაინც დაბოლილი ჩანდა.

— რას იტყვი, შენსას არ იშლი, თუ...

— რას არ ვიშლი?

— გინდა, ბავი გადავიხადო?

— მოგცლია ერთი შენცა!

— შენ რა გინდა, მე გისდი! ოღონდ იცოდე, არც ფულით და არც ნატურით.

— მა რითი? — დანიტურესდა ერთი დამხვედურთავანი.

პავლიკამ მრისხანედ გადაუბრიალა თვალები არამკითხვს.

— რითი? ერთ ისეთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით, რო... წიგნში წაგიკითხე. იცით, რა წიგნია? გაგიყვებით.

ამას არავით მთელია, თვით თემიც კი. ახლა ყველა პავლიკას მიაჩნებდა. მაგრამ ხმა არც იმას ამოუღია.

— რას გაშტერდით? — ინიციატივა არ დამო ვენიამ იმ მოჭადრაკეზავით, რომელმაც დებიუტშივე მოიპოვა უპირატეობა. — მართლა გეუბნებით. თუ თანახმანი ხართ, მიდით, ასეთი წესი შემოვიღოთ: როცა ვინმე ახალი ტიპი საბანაოდ მოვა, წყალში მანამ არ ჩაუშვავთ, სანამ რამე საინტერესო წიგნს არ მოგიყვება...

— თუ წაკითხული არა აქვს? — იკითხა ოთარმა.

— არა აქვს და — წაკითხოსო! მე ვათხოვებ.

პავლიკა თითქოს ჩაფიქრდა.

— ესეც შენი ბავი, ა, პავლიკა, რას იტყვი?

— კარგი, რა, რას აიჩიე ეს ბავი, — დაიმორცხვა პავლიკამ. — ჩემი მოგონილი კი არ არის...

— მე თანახმა ვარ! — თქვა თემომ და, თითქოს გაკვეთილზე, ხელი ასწია.

— მეც, მეც, — მაშინვე შეაჩიეს ოთარმა და მარატმა.

პავლიკა ყოყმანობდა.

— ჯერ ერთი, პავლიკა, — ფიქრის დრო აღარ დაუტოვა ვენიამ, — ეს ტბა შენთვის არავის უჩუქნია და ასეთ რამეებზე ჩვენში კერძო საკუთრება არ არსებობს. მეორედღეს თუ სხვად პიონერები უნდა გავხედეთ და შენ კი აქ ვაჭრობა წამოგიწყია — კიტრიო, მისხალიო, ბალიშა კანფეტებიო... რა, კერძო დუქანია? სირცხვილი არ არის?

„ზუსტად ჩვენი მასწავლებელიც რომ ლაპარაკობს! — გაიფიქრა მარატმა. — ხმა აქვს სხვანაირი, თორემ თვალის რომ დახუტო, ნინო მასწავლებელი გეგონება...“



პავლიკამ თავი მიაბრუნა და გაღმა ნაპირს მიაყინა მზერა. ვენიას გაეღიმა, მიხედა, რომ საბოლოოდ გაიმარჯვა.

— მოდეთ, ახლა კი ყველამ ერთად ვიბანათო, — უფრო მეტი თავდაჯერებით შესთავაზა ბიჭებს. — მერე, თუ გულით ვინდათ, რაკი ბავის გადახდა ვიკისრე, პირველი მე დავიწყებ და „გულივერის მოჭადრაკობას“ მოგიყვებით. იცით, რა წიგნია? გაგიყვებით. თანახმანი ხართ?

პირველი თემო გადაეშვა წყალში მხიარული ყოყინით, მას ოთარი და ის ორი დამხვედური ბიჭი მიჰყვნენ. პავლიკამ ოდნე დააყოვნა ნახტომი, ბოლოს კი ექვსი ბიჭი ერთად აღდგაფუნდა და ეს მშვიდი ტბა მართლა გადარულ მორევს დაემსგავსა.

ნაპირზე მარტო მარატი დარჩა. იდგა და დარცხვენით ილიმებოდა.

— ჩამო, ბიჭო, რას დაყუდებულხარ მანდ?! — ამოსძახა ოთარმა. — რა მოგივიდა, ცურვა არ იცი? მარატმა თავი გაქანია.

რიყეზე პავლიკა ამოვიდა. მკლავებსა და გვერდებზე 9

ხელისგულებით ჩამოიწურა წყალი, ტრუსის ტოტებში მოიქცია და რამდენადღე შეიძლებოდა, გაწურა.

— მაგ ბიჭს რა პეკიან? — აკითხა მარატს.  
— ვისა?

— აი, მაგას... ჩემთან ჭიდაობა რომ უნდოდა.  
— ჰოო, ეგ შენიაა, ტორაკაგილიო. მაგის მამა კაპიტანია, გემების უფროსია, ფოთში მუშაობს.

— როგორი ბიჭია?  
— ვინა?

— ვინა და ეგ შენია! აბა მამამისზე კი არ გეკითხები!  
— ჰოო, შენია მაგარი ბიჭია. არაფრის არ ეშინია. ერთხელ მეზობლის ბინაში ქურდი მიიპარებოდა და მაგან დაიჭირა.

— მორჩი ერთი! — უნდობლად გაიღრიჭა პავლიკა.  
— მართლა გვეუნები! — თითქოს ნინისის მოგებით, მან შენვე მიაგება მარატმა და თავისი ძმაბიჭის ვაჟაცობის

ვახსენებამ გული სიამაყით აუგსო. — ის ქურდი ფანჯარაში მიძებრებოდა, შენამ დაინახა, იატაკის საწმენდ ჯოხის ხელი დაალოო, ვარტე გამოვარდა და ისეთი მოსცხოს, ტკივილისა და ეგონისაგან ღრიალი დააწყებინა.

ალიაკოთზე მეზობლები გამოცვივდნენ და გაქაჩეს.  
პავლიკამ ტბას გახედა. შენია მალაყებს გადადიოდა წყალში. სხვებიც ცდილობდნენ, მაგრამ ცუდად გამოსდიოდათ და იდგა ერთი გნიახი და სიცილ-ხარხარი.

— ერთხელ ღამით კუკის სასაფლაო მარტოკამ გადაიარა.

— ვინა, ტო?  
— ვინა და შენია. აბა მამამისზე კი არ გეუნები! — სამაგიერო გადაუხადა მარატმა.

— ჰო, კარგი, რა ზღარბივით იჩხვლიტები. მოყვეი ერთი, როგორ იყო.

— როგორ და სულ უზარალოდ. საღამო ხანს შუა სასახლაოზე, ერთ-ერთ საფლაგზე წიგნი დავტოვათ. ღამით, ასე თერთმეტი საათი იქნებოდა, ორნი კუკის თავში დაედევით, ორიც ბოლოში ელოდა. ნახევარ საათს მოუნდა შენია სასაფლაოს ვაგლას. მთვარიანი ღამე კი იყო, მაგრამ... ჩვენ ღამის გულები დავგვისკადა, მაგას კი აინუნ-შიაც არ მოსვლია. აი, ეგეთი ბიჭია.

პავლიკა დაისარა. პატარა ბრტყელი ქვა მოძებნა, ხელი მარჯვედ მოიქცინა. ქვა გასრიალდა. სუთჯერ თუ ექვესჯერ ახსლტა ზედაპირიდან და შუა მდინარეში გაუჩინარდა.

— მაგარი ბიჭი ყოფილა ეგ თქვენი შენია! — თითქოს-და სინანულით თქვა პავლიკამ და ამოსუნთქვას გულიც თან ამოაყოლა.

### 3

ცირკის მხრიდან ჩელუსკინელთა ხიდისაკენ ჩამავალი, სულ ახლანდ გაჭრილი ფართო გზის მარჯვენა ტროტუარზე აწოჩილი, მხრებში თავმარგული, ჯიბეებში ხელმეჩაწყობილი კაცი მოდიოდა. მზე ჰა და ჰა, საცაა უნდა ამოწყვერილიყო, მტკერიდან მშვიდი სიო უბერავდა და საკამოდ გრილობდა.

სუმბ, გოგუნებულმა კაცმა კისერი წაიგრებულა და მტკვარს ჩააქვერდა. თვალები მოიფშვინტა. არა, ნამდ-

ვილად არ ატყვავდა მზერა: ნელა, უხმაუროდ, თითქოს სიხმარში ხლებოა, ხიდის მარცხენა მალის თაღიდან ტივი გამოცურდა და თავქვე დაჰყვა დინებას. მოქალაქედ ნამბივი ააჩქარა, ხიდეზე შედგება მტკერილი მოაფრის გადაწყვე.

ტივი იყო, ნამდვილი ტივი!  
აქეთ-იქით, მარცხენა-მარჯვენა განაპირას, თითო ტან-მორჩილი მებრეე დინჯად უსვამდა ორთავყირებს; ერთ ბოლოში იდგა, გრძელდიან; სატიოზე, ახლანდელი ჩელუსკინელთა ხიდის ცოტა ქვემოთ, ნაპირს მოადგებოდნენ, ტივებს არღვევდნენ და შემოდ ან სამენ მასალად ყიდდნენ.

მორები იყო, წუნს ვერ დასდებდი!  
ცოტა უფრო ადრე (კაცს კარგად ახსოვდა ის წლებიც) მართალია, უწინდელივით ხშირად აღარა, მაგრამ კანტუკუნუდად მაინც, ნამდ მოქვიფთვა ვუნდნ ტივით ჩიავლიდა მტკვარს სატიოდან ორთავჯალამდე არღნის ჭყვიტინით, ყარაჩოხელური სიმღერებითა და შამფურების ტრიალით...

— ტივია! — ხმადაბლა, თავისთვის ჩაილაპარაკა კაცმა. კიდევ უფრო მეტად გადაიწია წყლისკენ, კეპი მოიმეულია და ჰაერში დაატრიალა.

— ე-ჰეი, მეტივებო! — ჩასძახა მტკვარს.  
— ე-ჰე-ჰე! — ამოგუგუნდა ქვევიდან ყვირისა.  
— გაუმარჯოს! მეტივებს გაუმარჯოს!  
პასუსად წკრიალა ხმამ ამოსძახა:

სატიოზე ტივი შეჰყა-ა-არ,  
ტივი არის ნაქვის ხისა-ა-ა...

კაცმა სმენას არ დაუფერა. მომდერალმა, თითქოს ეს იგრძნოო, მაშინვე, ცოტა არ იყო, ნაჩქარავად, მოადევნა:

ორთავყირები მოვახსი,  
მოსახმელი არის წყლისა-ა-ა...

ნელა, ისევე ნელა, როგორაც წედან გამოცურდა ხიდის თაღიდან, ტივი თანდათან, მოჩვენებასავით გადნა რძისფერი ნილში და თვალს შეეღებოდა.

ის იყო, მზეც ამოიწვერა და მტკვარს, მის ნაპირებს, მთელ თბილის-ქალაქს ოქროს ჩქერი გადამოადგარა.

### 4

მტკვარზე ტივით მოგზაურობის იდეა შენია ტორაკაგილივლს დაებდა.

...იმ დღეს ზოოპარკში მიჰყვებოდა ბუბიას (რას იზამ, ზოგჯერ მოხუცობსაც უნდა ახამოვწო, მარტო ჩვენი თავისთვის ხომ არ ვარსებობთ!). პლენარის პროსპექტს დაჰყვენ, ჩელუსკინელების ქუჩა გადაჭრეს, კონსტუქციის პირველ შენობასთან მარცხნივ აუხვიეს და ის იყო ბუბიას რაღაცის სათქმელად პირი გაალო, რომ შენია ელ-ლის სისწრაფით დაუსდებდა ხელიდან მოხუცს:





ჭრელპურვანა, მოკლექაპუჭიანი გლეხი კი არ ხეივანდა ივდა ურემზე და თამბაქოს აბოლებდა.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მეზორნემ ადლო აუ-ლო დინებს და თავისი ტივადქეული ბორანმეკრეტქესქსი შესართავთან, მტკვარში პატარა ნახევარკუნძულზე შეგვიქმნი რილ ტირიფებიან რიყზე მიაყენა ნაპირს.

„ტივი!“

ჟენია მეორე დღითვე საწოლში თავს დაადგა თემოს.

— ადვი, ჩაიცვი მინგეჩაურში მივდივართ.

თემომ თვალები დააჭყიტა:

— მოიცა, ვერე რა, ჩვენს ახალ ცირკს დაარქვენს?..

— ცირკს კი არა... ქალაქია ეგეთი აზერბაიჯანში.

— მერე იქ რა გვინდა, ბიჭო?

— ჩაიცვი, ჩაიცვი! რა მოგიფიდა, როდის იყო, ამდენს რომ ლაპარაკობდი? ამ წუთში კი არ მივდივართ. ჯერ ტივი უნდა ავაგოთ.

— რა ტივი, რის ტივი?! სიციხე გაისინჯე ამ დღით? ხომ არ გაგიფიდი, რაებს მელაპარაკები?

— ადვი-მეთქი, ში ძილისგუდავ! ჩაიცვი და ყველაფერს მოგიყვები...

თურმე წლებულს, ფოთში ყოფნისას, ჟენია ერთ მინგეჩაურელ ბიჭუნას, მირზა ალიევს დაამაკაცებია. მამები ერთად მუშაობდნენ სანაოსნოში და წლებსი მანძილზე მხარდამხარ შრომას, დღისით და ღამით ზღვსთან და ქარიშხალთან ჰიდილს მჭიდროდ დაემგობრებინა ქართველი და აზერბაიჯანელი კაპიტნები. ბიჭებმაც სწრაფად გამონახეს საერთო ენა. დილით რომ ერთმანეთი გაიცენეს, შუადღისას უკვე ყველაფერი იცოდნენ ერთიმეორეზე, საღამოს კი განმორება აღარ უნდოდათ... ბოლოს, ის განმორების წამი რომ დადგა, ჩუმ-ჩუმად ცრემლი მოიწმინდეს, ერთმანეთს საუკუნო ძმობა შეჰყვივს და მირზას პირობა ჩამოართვა, აუცილებლად მინგეჩაურში მე-წვიო.

— მერე, შორს არ არის ეგ შენი მინგეჩაური? — თემოს აქამდე საერთოდ არ სმენოდა ამ პატარა ქალაქის სახელი.

— ორ დღეში იქ ვიქნებით, — საქმე გააიოლა ჟენიამ.

— დილაადრინა გავალთ, ღამეს შუა გზაში გვათვეთ — კეთილ ხალხს რა დაღვეს. მეორე დღის საღამოს კი მირზასთან ამოვყოფთ თავს. არ გაგიფიდე? გაისამდე არ მელიოდება!

თემომ ცხვირის წვერი მოისრისა.

— მერე, ჩვენები?

— წერილს დავუტოვებთ, ყველაფერს ავუსსნით.

— ტვიც მასალა? — ახლა საქმის პრაქტიკული მხარით დაინტერესდა თემო. — მასალას შოვნა არ უნდა? ჟენიამ ხელი ჩაიქნია:

— ეგ ადვილი საქმეა. პავლიკას მამა დიდუბის სამხებრაში მოუშობს. ის გვიშოვის ისეთ მორგებს, თავად რომ არაფერში არგაიოთ, ტვიცისთვის კი გამოსადეგი იქნება. არა მგონია, დაგვამადლოს. თოკებს, ლურსინებსა და სხვა წვრილმანს ჩვენ თვითონ მოვუვლით. ეე, შენ იცი, რა მოგზაურობა მოგველის?

— ბები, რაღაც ამბავია! გავიქევი, ვნახავ! — და ხიდი-სკენ მოკურცხლა.

— უჰ, შე მამალიავ! — უბოროტოდ წაიბუზუნა ევლოკია ლვოვნამ და ნაბიჯს აუჩქარა: მართლაც, ხიდის მოაჯირთან ხალხი შეგროვილიყო, ინტერესით გადაჰყურებდა წყალს და ჩოჩქოლებდა.

დიდუბეში ბორანი მოეგლიჯა მტკვარს, ნული ტრიალით მოცურავდა. მეზორნე, ცოტა ჰრ იყოს, შემინებული ჩანდა, გრძელი ჭოკით ხან მარჯვნივ აწვივდა ფსკერს, ხან მარცხნივ. ბორნის ერთადერთი მგზავრები ხარ-ურემი და მეურმე იყვნენ. ხარები მშვიდად იცხნებოდნენ,

ბავშვ მარიამი

ჩვენს ეზოში მარიამი

დიდებული ქალი არი.  
 თუმცა, როგორც წესია,  
 სახლში მოსდის პენსია,  
 მაინც გვიხმობს პატარებს  
 და გაკეთილს ატარებს.  
 ჩამოგვართმევს პირობას:  
 — მთავარია ზრდილობა!  
 — ვარდის ნამით ნამული  
 მთავარია მამული!  
 და ჩვენც ერთად ვმღერავართ:  
 „ძველიაძველი ერი ვართ,  
 მაგრამ ჩვენი დიდება  
 უფრო გამობრწყინდება  
 საქმით,  
 აზრით,  
 ფიქრებით —  
 ჩვენ თუ კარგი ვიქნებით!..“  
 დიას, ბებო მარიამი  
 მისაბაძი ქალი არი,  
 კეთილიც და უბრალოც,  
 თანაც ძალზე ზრდილია.  
 მთელი ჩვენი უბანი  
 მისი გამოზრდილია.  
 გაიკეთებს სათვალეს,  
 ყველას შეგვათვალთვალვებს:  
 — ბიჭო, შენი მამიკო  
 ასე არა წვალობდა...  
 — გოგო, შენი დედიკო  
 უკეთესად სწავლობდა!..  
 დე, გახსოვდეთ მთავარი:  
 შრომით,

წარმოჩინებით —  
 საქართველო გავალებთ —  
 მამებს სჯობდეთ შვილები!  
 მეგობრებო, ბავშვებო,  
 შემოკრბენით გარშემო,  
 დე მადლობა მარიამს  
 ვუთხრათ, — ჩვენი ვალია!..

აპარია კლასში

ეს საკითხი მთავარია —  
 კლასში მოხდა ავარია.  
 რაკი მოხდა ავარია —  
 მსაჯულობა გვავალა.  
 მოგვიფიეთ კლასის კრება —  
 სხვანაირად არ იქნება.  
 — დღეს ერთმანეთს, — ლელავს კახა, —  
 ორი გოგო დაეჯახა  
 და ორივე ცხარედ უტევს  
 „ბუტე-ბუტე-გაგებუტეს!“  
 იძახიან „ახი-ახსო,“  
 თუმც მიზეზი აღარ ახსოვთ.  
 — დავსაჯოთო, — ცხარობს შოთა, —  
 და ერთ მერსზე დავსვათ ორთა!  
 ვერ უარყვეს კლასის განსჯა  
 და ორივე ერთად დაჯდა.  
 გაიარა ერთმა კვირამ  
 და მთელ კლასის გასაკვირად:  
 გადახეიეს მკლავები,  
 ერთად მოდი-მიდიან,  
 თურმე წაკინკლავებაც  
 მეგობრობის წინდია!

— ფილმი ვნახოთ, ფილმთქვეყნა,  
 ვიცი, არ გაქვს ნაწაწა.  
 — ხვალ ზეპირი რითა ვთქვათ?  
 — რა თქმა უნდა, კარნახით!

— წამო კარში, ლობიოც,  
 დგას ბიზინი ბალახის.  
 — ხვალ რა გვიხსნის, ძმობილო?  
 — რა თქმა უნდა, კარნახი!

— წამო, ბურთი გავიგლოთ,  
 სანავარდო, სანახი...  
 — ხვალ „ორს“ ვინ ამარიდებს?  
 — რა თქმა უნდა, კარნახი!

— გამო გარეთ, ჭიანო,  
 იქ ყიდინა არაქისს.  
 — ვინ გვიშველის, ჭკვიანო?  
 — რა თქმა უნდა, კარნახი!

— წამო, თუთა ვარხითო,  
 თაფლისაა, განა ხის.  
 — ვინ დაგვიხსნის მახინდან?  
 — რა თქმა უნდა, კარნახი!

ეს, ბავშვებო, ბავშვებო,  
 სიზმრადა მაქვს ნანახი:  
 სმაჩამწყდარი,  
 გამშრალი,  
 დაისჯება კარნახი,

არ გაუვა მალაყი,  
 მარცხიც მისი ბრალია...  
 დაისოსმეთ: კარნახი  
 ცული მეგობარია!

— მარტო მე და შენ წავალთ?  
 — არა, კაცო, რას ამბობ! ორნი რას ავუვალო! მარატი,  
 ოთარი და პავლიკაც წაგიყვანათ.  
 — წამოვლენ?  
 — აბა რას იზამენ? — მტკიცედ თქვა ჟენიამ და თემო-  
 მაც მყისვე ირწმუნა, რომ მართლაც ასე იქნებოდა — სა-  
 ოცარი ძალა ჰქონდა ამ ბიჭის დიდრონი თაფლისფერი  
 თვალების თავდაჯერებულ მზერას.

მორი მოგვიჩერნე, ტივად შეგვკრათ, კარზე მივაყენებთ და  
 ზომავზე დაუჭვრითო. არტაშა ცას ეწია სიხარულით, არი-  
 ქა, ბიჭი გამომსწორებია, გაწამლართებულა, დღენიდაღა  
 უსაქმო ყიალი და მტკვარში გეგება ყელინი ამოსვლია და  
